ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წლიური შემაჯამებელი ანგარიში (ლალი ხუციშვილი)

2022-2023 სასწავლო წელი საკმაოდ შრომატევადი და დაძაბული გამოდგა, იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიის შემდეგ ყველაფერი უნდა მოგვეწესრიგებინა, როგორც მატერიალური, ისე კომპიუტერული ინფორმაციები თუ ნამუშევრები, მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით და სევასრულეთ ჩვენი მოვალეობანი.

კალენდარული გეგმით გათვალისწინებული მასალა ყველა კლასში ამოწურულია. შევასრულე დაგეგმილი შემაჯამებელი სამუშაოები, შესრულდა წლის დასაწყისში დაგეგმილი ყველა ღონისძიება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ წერის, მეტყველების კულტურის განვითარებას, გარდა წერითი სამუშაოებისა, კლასში ხშირად ტარდებოდა დისკუსიები, კომფერენციები, ფილმის, წიგნის განხილვები. მოსწავლეებთან ერთად ხშირად ვესწრებოდი სპექტაკლებს თავისუფალ თეატრში, ახმეტელის თეატრსა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ვნახეთ და განიხილეთ შემდეგი სპექტაკლები: ,, ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები'' ,, ჯინსების თაობა'',მიყვარხარ,მიყვარხარ,მიყვარხარ'' ,,სამანიშვილის დედინაცვალი'' ,,ბღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს'',, ჰელადოსი''.

ქართული ენის პედაგოგებისათვის უმიშნელოვანესია ენის სიწმინდის დაცვა,სწორედ ამას ემსახურებოდა რუბრიკა ,,ვწერთ და ვმეტყველებთ სწორად'', ამიტომ ხშირად ვაწყობდი ესეების კონკურსს.

კლასებში ჩართული ვიყავი სიახლეების დანერგვასა და განხორციელებაში. კერძოდ, მეცხრე კლასის მოსწავლეები წაიყვანა შინსისის მემორიალზე, სადაც შეხვდნენ ერთ-ერთ შინდისის გმირს, მოსწავლეებმა ჩამოართვეს ინტერვიუ, შემდეგ ნახეს ფილმი და გააკეთეს ანალიზი : ისტორია გმირთა სახელებს უცვლელად ინახავს! შევქმენი მოსწავლეებთან ერთად საინტრესო ხელნაკეთი წიგნი ,, გალაკტიონის შემოქმედება. ჩავატარეთ პოეზიის საღამო.

ასევე აღსანიშნავია მიდგომა და მუშაობა ენის გაკვეთილებზე, თეორიულ ცოდნას ვამყარებდით პრაქტიკული სავარჯიშოებით, ამ მიზნით ვიყენებდით სხვადასხვა აქტივობას ასაკის შესაბამისად!

მთელი წლის განმავლობაში ვგეგმავდი და ვახორციელებდი უამრავ აქტივობას. ვფიქრობ, შევძელი და საინტერესოდ წარვმართე მოსწავლეების ინტერესები და სურვილები, განათლებისა და განვითარების სფეროში!

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი; ლალი ხუციშვილი
28.06,2022